მინსკში

მინსკი. “ტრაქტორის” სტადიონი. 11 ნოემბერი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:1).

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, ალექსეიჩიკოვი, შავეიკო, იანუშევსკი, სოკოლი (ვასილევსკი), ჰუდიშევი, პავლოვი, რუმბუტისი (გოცმანოვი), გურინოვიჩი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ხიზანიშვილი (მინაშვილი), დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (შენგელია), კოპალეიშვილი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან კურნენინი, შევეიკო, გუცაევი.

დუბლიორები – 2:0.

დიდი ხანია მინსკის დინამოელებს ასეთი წარმატებით არ უთამაშიათ საკავშირო ჩემპიონატებში. ისინი ახლა გათამაშების ლიდერთა სიახლოვეს იმყოფებიან და თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად. გამარჯვებისთვის იბრძვიან, აგრეთვე, თბილისის დინამოელებიც, რომლებსაც ახლო მდევარი ჰყავთ მოსკოვის თანაკლუბელთა სახით. ამან განაპირობა მატჩის დიდი დაძაბულობა…

თამაში დაიწყო თბილისელთა ხშირი, სწრაფი იერიშებით, ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები ყიფიანმა, დარასელიამ, შემდეგ მეკარის პირისპირ დარჩენილმა გუცაევმა ძელს მოახვედრა ბურთი, მე–11 წუთზე კი მასპინძელთ კარში პირველი გოლი გავიდა: დარასელიამ მიუსწრო მოპირდაპირე მცველის მიერ უზუსტოდ გათამაშებულ კომბინაციას, სწრაფად შევიდა საჯარიმო მოედანზე და აიძულა მეკარე ვეგეენკო ბადიდან გამოეტანა ბურთი – 1:0.

ამის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. საგოლე პოზიციაში იმყოფებოდნენ გურინოვიჩი, კურნენინი, ჩივაძე, იყო მომენტი, როცა კურნენინის დარტყმა ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა მინსკელთა მხარეს იყო, მაგრამ სტუმრები ხშირად ახორციელებდნენ სახიფათო კონტრშეტევებს, რომელთაგან ერთ–ერთი გოლით დასრულდა: გუცაევის მიერ ფლანგიდან მოწოდებული ბურთი შენგელიამ ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა კარში – 2:0.

ეს მოხდა 70–ე წუთზე, ხოლო წუთის შემდეგ თბილისის “დინამოს” კიდევ ერთი შანსი მიეცა დაწინაურებულიყო, როცა მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშეს და მსაჯმა დანიშნა პენალტი. მაგრამ ვერგეენკომ შეძლო დარასელიას მიერ დარტყმული პენალტის მოგერიება.

მატჩის 82–ე წუთზე ხელმეორედ დაინიშნა პენალტი, ამჯერად თბილისელთა კარში. ჰუდიშევმა ზუსტად დაარტყა – 1:2.

თბილისის “დინამომ” შეძლო მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება.

“ლელო”, 13 ნოემბერი, 1979 წ.